№ 201. 26 სეკდემბერი, შაბათი. 1866—1881 26 სეკდემბერი, შაბათი. № 201.

**რედაქცია**
გოლოვინის პროსპექტზედ, იგ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**
მიიღება თფილისში „დროებისა“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროებისა-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებრივის ასოთ დაბეჭდილი ასოზე ნახევარი კაპ., წვრილებრივის ასოთ ასოზე მეოთხედი კაპ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად მიღებულ წერილს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებისა“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

**ბბ. მომხმარებელთ ჩვენი ფირმის ჩაის** უმორჩილესად ვსთხოვთ მიაქციონ ყურადღება ბანდეროლებზე ასოთ პ. დ ს
ძმანი პ. და ს. პაპოვები,
(20—1)
სავაჭრო სახლი მოსკოვში.

**იოანნე ღვთის მეტყველის უქმის გამო, ხვალ, კვირას გაზეთი არ გამოვა.**

**შაბათს, 26 სეკტემბერს**
**საზაფხულო თეატრში**
ქართული დრამმატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

## პეპო

კომედია 3 მოქმ. გ. სუნდუკიანცისა.
ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში.
**დასაწყისი 8 საათზედ.**

# ტელეგრამმები

(„ჩრდილოეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღი**, 24 ენკენის. გუშინ გამოეცხადნენ იმპერატორს 11 ექსპერტი, ამათ რიცხვში ხარკოვის პროფესორი გორდეენკო რომელმაც მოახსენა მცირე სიტყვა, ჟურნალისტი მარკოვი და თ. შჩერბატოვი მოსკოვიდამ. ხელმწიფემ დაწვრილებით გამოკითხა სათითაოთ ყველას წარსულ და ეხლანდელ მათ სამსახურზედ და ბოლოს გამოუცხადა მათ იმედი, რომ ისინი მიაღწევენ იმ მიზანს, რომლისათვისაც შეკრებილან აქ. ზეგ დანარჩენი ექსპერტებიც გამოეცხადებიან. იმათ მინიჭებული აქვთ უფლება ორ დასად გაყონ: ერთი მაგარი სასმელების წესების გარდასახედავათ იქნება და მეორე გარდასახლებულებისა.

**პეტერბურღის ბირჟა, 24 სეკტემბ.**

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 96—75 |
| მეორესი — — — — | 93—37 |
| მესამესი — — — — | 94— 5 |
| მეოთხესი — — — | 93— 5 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 91—12½ |
| აღმოსავლეთის მეორე | 91—25 |
| აღმოსავლეთის მესამე | 91— 5 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 7—67 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 224—75½ |
| მეორე სესხის — — | 221—95 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 25—81½ | პენსი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |
| ჰამბურღი — | 220— „ | ცენტი |
| პარიჟი — — | 273—50 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — — — | | |

## თფილისის გიმნაზიის იუბილეი.

თბილისი, 25 სეკტემბერს.

ორმოც-და-ათი წელიწადია მას აქეთ, რაც დაარსდა ეხლანდელი თფილისის პირველი კლასიკური გიმნაზია, რომელსაც მაშინ „კეთილშობილური სასწავლებელი“ ერქვა. ხვალ, კვირას, ამ დაარსების დღეს დღესასწაულობს ეს გიმნაზია.

ორმოც-და-ათი წელიწადი, რომელიმე სასწავლებლისა კი არა, მთელი ხალხის ცხოვრებაშიაც საკმაოდ დიდი დროა; ბევრი ცვლილება შეიძლება მოხდეს ამ ხნის განმავლობაში, ბევრი წყალი ჩაივლის.

ხსენებულ გიმნაზიის ცხოვრებაშიაც დიდი ცვლილება მოხდა. მოკლეთ მოვიხსენოთ ისტორია ამ გიმნაზიისა.

პირველად რომ „კეთილშობილური სასწავლებელი“ გახსნეს თფილისში, საზოგადოებამ ისეთი დაუნდობლობა გამოიჩინა ამ პირველის რუსის სასწავლებლისა, რომ ჩვენს მშობლებს მაშინ ეხვეწებოდნენ, ფულს აძლევდნენ პირ-იქით, რომ თავიანთი შვილები მოეყვანათ და სწავლაში მიებარებინათ. მაგრამ მაინც ძალიან იშვიათად მოჰყავდათ აქ ჩვენებს შვილები. მაშინდელ სწავლა-დასრულებულებს ახლა თითებზედაც ადვილად ჩამოვთლით.

მიზეზი ამ გარემოებისა ის კი არ იყო, რომ ჩვენს ხალხს ვითომ არ ესმოდა მაშინ სწავლა-განათლების საჭიროება და სარგებლობა; ამისთანა დრო ჩვენს წარსულს ისტორიაში არასოდეს არ ყოფილა: ქართველი ერი ყოველთვის მისდევდა განათლებასა და სწავლას. მიზეზი იყო მხოლოთ ის გარემოება, რომ ეს იყო პირველი რუსის სკოლა და ხალხმა არ იცოდა—რას ასწავლიდნენ იქ, ვინ ასწავლიდა და როგორ.

მერე ცოტ-ცოტათი გაიცნეს, შეეჩვივნენ, დაინახეს, რომ სასწავლებელში სამშობლო ენას ასწავლიდნენ, რომ აქ არ „არუსებდნენ“, რომ აქ ნასწავლ კაცს მომეტებული პატივი აქვს და ნელ-ნელა თავის ნებით, ძალა-დაუტანებლად და დაუსაჩუქრებლადაც დაიწყეს სასწავლებელში თავიანთ შვილების მიბარება.

და ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ არა თუ ეს სასწავლებელი ბევრი სხვა ამისთანა გიმნაზიები, სემინარიები და და დაბალი სასწავლებლები გატენილი არიან შაგირდებით, მშობლები დიდ ხარჯსაც იხდიან, მაგრამ, საუბედუროთ, ხშირად იმათი შვილები, უადგილობის გამო, მიუღებლები რჩებიან სასწავლებლებში.

უეჭველია, რომ თფილისის გიმნაზიამ დიდი სარგებლობა მოუტანა ჩვენს საზოგადოებას. თუ ვინმე დაწინაურებული ქართლელ-კახელები გვყვანან ამ ჟამად ჩვენში, თითქმის ყველას ამ გიმნაზიაში დაუსრულებია პირველად თავის სწავლა. საუბედუროთ, ამ გვარი დაწინაურებული ქართველები დღეს ერთობ ცოტა გვყვანან. და ამის მიზეზი არის შემდეგი გარემოება.

რუსის მთავრობა ამ სასწავლებლის გახსნისათანავე აცხადებდა, რომ „სასწავლებელი ქართველ საზოგადოებისთვის, ქართველ კეთილშობილ პირთა შვილებისათვის იმართებაო, რათა იმათ ზნეობით ამაღლებას და გონებით განვითარებას ხელი მოუმართოსო“.

ეს მიზანი ბოლოს თითქო გაქრა და საქმე იმ ნაირად წაიყვანეს, რომ ქართველ საზოგადოებას თითქმის სრულიად მოესპო ღონის-ძიება გიმნაზიაში შვილების მიბარებისა. სწავლა თავიდამვე რუსულად და რუსულს ენაზედ მიჰყავთ და ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ გიმნაზიაში ქართველებს სწავლა ეძნელებათ და ამათ მაგივრად ეს გიმნაზია უფრო მომეტებულად რუსისა და შეძლებულ სომხის შვილებით არის სავსე, რომელთაც არ ეძნელებათ მომზადება და რუსულში გაწრთვნა თავიანთ შვილებისა.

ეს ქართველ შეგირდების შემცირება დაეტყო გიმნაზიას განსაკუთრებით ამ უკანასკნელ თხუთმეტის წლის განმავლობაში, გრაფ ტოლსტოის მინისტრობაში, როდესაც ქართულ ენას ის, მცირე პატივი და უპირატესობაც ჩამოერთვა, რომელიც იმ დრომდინ ჰქონდა მინიჭებული.

თუმცა ყველა ეს მართალია, მაგრამ, ვიმეორებთ, გიმნაზიამ მაინც-დამაინც თავის სარგებლობა მოუტანა ჩვენს მხარეს; თუმცა ისიც მართალია, რომ უკეთესის წესით რო ყოფილიყო აქ სწავლა დადგენილი, . . . . . . . . . მაშინ ერთი-ორად უფრო მომეტებულ სარგებლობას მოუტანდა და ერთი-ორად უფრო მეტს შესძენდა ჩვენს გონებით განვითარებას...

ამ მოკლე შენიშვნის შემდეგ დაგვრჩენია ვისურვოთ, რომ მომავალ ორმოც-და-ათ წლის განმავლობაში ჩვენს პირველ გიმნაზიას მეტი სარგებლობა მოეტანოს ჩვენი ხალხის გონებით წარმატებისათვის, ვინემ გავლილ ამავე დროის განმავლობაში მოიტანა.

## ახალი ამბები.

ჩვენ მივიღეთ ერთის ქუთათურ ურიისაგან შემდეგი შენიშვნა გაზეთში დასაბეჭდათ:

ბუშის ურიების უბანში აქაურ ურიის მირო ენუქაშვილის ოჯახში, ღამის 10 საათზე, ერთი საშინელი წივილ-კივილი და კიჟინა შეიქნა. მეგონა მოუკვდათ ვინმე-მეთქი, წამოვხტი ლოგინიდამ და გავიქეცი ხსენებული ურიის სახლში. მიველი და ვნახე შემდეგი სამწუხარო ამბავი: რძალს და შვილებს წაექციათ მოხუცებული დედა და შეუბრალებლად სცემდნენ. კარგა გული რო მოიჯერეს ამ უძლურ საწყალ დედაბრის ცემით, მერე ბნელ ოთახში დაამწყვდიეს.

„მიზეზი ამ გარემოებისა, როგორც შემდეგ შევიტყე, თურმე ის ყოფილა, რომ ამ მოხუცებულს დედაკაცს კუდიანობას სწამებდნენ!

ყურადღების ღირსია, რომ ერთი შვილი ამ დედა-კაცისა ქალაქის წარმომადგენლად, „გლასნად“ ითვლება და, თუ ის არ პატრონობს თავის დედას, საფიქრელია, რომ ალბათ იმას სჯერა კუდიანობა. რა ხეირს უნდა მოელოდეს ქალაქი ამისთანა გამგებლებისაგან?“

* * *

ბურიის ერთი სოფლიდამ ბახვიდამ გვწერენ, რომ ჩვენი სკოლა, რომელიც იმერეთის ეპისკოპოსის მეოხებით გაიხსნა და იმის ხარჯით ინახება ძალიან კარგათ მიდისო, შაგირდები ბლომად დაიარებიანო და მასწავლებლებსაც ხალხი ძალიან ემადლიერებაო. მაგრამ ადგილობრივ მამასახლის-მოსამართლეებს კი ძალიან ემდურის ხალხიო.

* * *

„ბაქოს უწყების უკანასკნელ №-ში იწერებიან ახლად დაბყრობილის ასხაბადიდგან:

„ბევრს ვნებას აძლევენ ჩვენს მხარეს ჩამოსული სომხები მოვაჭრეები, რომლებიც წარმოადგენენ გარდაჭარბებულს ექსპლოატატორებს, და რომელთაც არავითარი სარგებლობა არ მოაქვსთ.

„მოტყუება ზომაში და წონაში მოტყუება, 2 მანეთად გაყიდვა გირვანქა მურაბისა, რომელშიაც თაგვები ჩამხრჩვალა, ყიდვა ფუთი პურისა სამ აბაზად და შემდეგ, შეერთებულის გარდაწყვეტილებით და პირობის შეკვრით, რვა აბაზად გაყიდვა,—აი ეს გახლავთ სასახელო დევიზი იმ კალიებისა, რომელიც დაეცა განათლებულის დასავლეთიდგან ამ ადგილებს."

* * *

გაზ. „შრომაში" დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა 21 სექტ. მიღებული ბათუმიდამ:

„ბათუმი არასოდეს არ წარმოადგენდა ისეთს აღტაცებისა და მოძრაობის სურათს, როგორც გუშინ, როდესაც ქალაქის დეპუტატების—ქალაქის რჩევის წევრთა არჩევა იყო. დაფიცების შემდეგ თვითონ გუბერნატორმა გახსნა არჩევითი კრება და წარმოსთქვა დიდად მოხარული ვარო, რომ მე პირველს მხვდა თქვენი საზოგადო მოღვაწეობისათვის მოწვევა; განმარტა დიდი მნიშვნელობა დეპუტატებისა და მათი მონაწილეობა ქალაქის გამგეობაში; სთქვა, რომ ისინი უნდა იყვნენ პირ-და-პირი თანაშემწე ადმინისტრაციისა საზოგადოებისა და ქალაქის ინტერესების დაცვაში. ბოლოს გამოაცხადა, რომ მთავრობა საკუთრად ქალაქს ასი ათას მანეთს სწირავსო.

„კენჭის-ყრის დროს დიდი მოძრაობა იყო. ადგილობრივი ქართველები უმეტესობას შეადგენდნენ და სოლარის თანხმობით მოქმედებდნენ. გაიყვანეს თავისი კანდიდატები. ბერძნები და სომხები წვრილმანს ინტრიგებს მისდევდნენ. რუსების კანდიდატები: ექიმი სევერინი და ინჟინერი ბახმეტიევი გაიშავეს. სულ ამომრჩევი ორას ოთხი იყო.

„დეპუტატებათ აირჩიეს უმეტესობით: ყურშუმ-აღა ყარა-ალა-ზადე, ინკო ზენლისი და სპანაკი. არჩეულნი საუკეთესონი არიან."

* * *

„შრომის" უკანასკნელს (მეოთხე) ნომერში დაბეჭდილია ბატ. დავ. ნ. ბაქრაძის ჩინებული სიტყვა, რომელიც იმას უთქვამს არხეოლოგოსების კრების ქუთაისში ყოფნის დროს, იმათთვის გამართულს ბანკეტზე. მოგვყავს ეს სიტყვა:

„კავკასია, როგორც მაგნიტი, დასაბამიდგან იზიდავდა უცხო ქვეყნებს. კავკასია იყო მდიდარი არა მარტო ბუნებით, რასაც თვითონ ხედავთ თქვენის თვალით, არამედ შენახულის განძითაცა და აგრეთვე ჭკუისა და ხელოვნების ნაწარმოებით, რასაც ახლა, სამწუხაროთ ჩვენდა, თქვენ ველარა ხედავთ. აი ეს დიდებული სიმდიდრე იყო იმის მიზეზი, რომ კავკასიას ეტანებოდა მუდამ და ყოველის მხრით მტაცებელი და მცარცველი.

„პირველათ დაგვესხნენ თავს არგონავტები. იმათ, არა თუ წარგვტაცეს ოქროს მატყლოვანი ტყავი, არამედ გვიცდუნეს და შეგვიგინეს ჩვენი საუკეთესო ქალი—მშვენიერი მედეა—ნამდვილი სურათი და წარმომადგენელი ჩვენთა დედათა მაღალის სწავლისა და ხელოვნებისა, რომელიც არგონავტებთა და ძველთა ისტორიკოსთა ეგონათ თუ იყო თილისმა და უხილავთა სულთა მანქანება. ეს კიდევ არაფერი; მათ წარიტაცეს ეს სასწაულის ქალი და მერე შეუბრალებლათ გაცარცვეს და დააგდეს შარა-გზაზედ, თუმცა-და იგი, როგორც ნამდვილი შვილი კავკასიისა, აღზრდილი მისის ძლიერის ძუძუთი, არ დაეცა სულითა და არ მისცა თავი სასოწარკვეთილებას, არამედ მოიპოვა კიდეც ღონის-ძიება შეუბრალებლის მტრის შურის-გებისა. ეს ისტორიული მოთხრობა შეადგენს მას აქეთ მთელის ჩვენის ცხოვრების შინაარსსა.

„ასე და ამნაირად მომდინარეობს მას აქეთ, გაუწყვეტლად. ჩვენი ისტორია, საუკუნიდგან საუკუნემდი, წლითი წლამდი და დღითი დღემდის, ვინემ ამ უკანასკნელად არ დაგვაფარა ჩვენა მეოხებას ფარი მძლავრმა ერმა.

„რისიც მიწაში ჩაფლვა ვერ მოვასწარით, ის წარგვტაცეს მტრებმა და რაც ვერ წაიღეს, დასწვეს და აოხრეს. დღეს ჩვენი საუნჯე ყოველგან მრავალი არის გაფანტული, პარიჟში, ლონდონში და ვენეციაში და სხვაგანაც ბევრია, თვინიერ კავკასიისა. ახლა რაღასა თხოულობთ თქვენა პირისპირ ჩვენგან და რაღა გაგვაჩნია? თქვენ მშვიდობით მოსილნი მეცნიერების არგონავტები მოსულხართ ჩვენში საძიებლად და გამოსაკვლევად დაკარგულის და მიწად ჩაფლულის საუნჯისა, რომ მითი აღადგინოთ სახე ძველის ჩვენის ცხოვრებისა და შეასხათ მას ხორცი.

„მძიეთ და იკვლიეთ. თუ მიიღებთ ამ შრომაში გამარჯვებას, თვითონ ეს დაგაჯილდოებს თქვენა და თუ ვერა, ჩვენლა დაგვრჩენია წარსულის დროისაგან მხოლოდ მარტივი გული, პური, მარილი და კეთილი ღვინო. ჩვენ მოგართვით მარტივის გულითა პური და მარილი და ამავე მარტივის გულითა ვსვამთ თქვენს სადღეგრძელოსა და გთხოვთ, რომ ბევრს ნურასფერს მოგვთხოვთ წარსულის დროიდგან და ნუ უგულებელს გვყოფთ მცირესა ზედა. ხოლო მომავლისათვის კი აღმოგვიჩინეთ საჭირო შემწეობა და ჭეშმარიტი ძმობა."

## „დროების" კორრესპონდენცია

**სოფ. კულაში, 24 სექტემბ.** „დროების" მკითხველებს არა ერთხელ გაუგონია, რომ ამა და ამ სოფელში ან ამა და ამ სახელმწიფოში ურიებმა ქრისტიანის ბავშვი დაიჭირეს და აწვალესო.

საქმეც შემდგარა ხოლმე ამის თაობაზედ მაგრამ ერთხელ არავის დაუმტკიცებია ურიებისათვის ეს ცილისწამება და ამიტომ არც ერთჯერ კანონს ამისათვის ურია არ დაუსჯია; გაეგონებათ ისიც, რომ ბევრნი ნასწავლნი ურიები არიან ისეთნი, რომ ყოველივე ნაკლულევანებას, რასაც შეამჩნევენ კაცის ცხოვრებაში, მიუდგომლად და დაუფარავად გამოააშკარავებენ, მაგრამ ერთი მათგანი არსად სწერს, რომ მათ რჯულში სადმე ეწეროს ქრისტიანის სისხლის ხმარება.

მე მგონია, რომ ეს საკმარისი უნდა იყოს მისთვის, რომ დარწმუნდეს ხალხი იმაზედ, რომ ამისთანა საქმე, როგორც უეცრად ბავშის დაკარგვა, უბრალო შემთხვევის ბრალია და დიდი ხნის მტერობის გამო, რომელიც სუფევს ქრისტიანებსა და ურიებს შორის, არ ბრალდებოდეს ამ უკანასკნელებს დაკარგულის ბავშის წვალება; მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ხალხი ერთობ მიჩვეულია დაჯერებას: უჯერებს ის მკითხავებს, იჯერებს უბრალო ჭორებს მეორეთ-მოსვლაზე და ჩვენის მაცხოვრის სიტყვებს: „მეორედ მოსვლა როდის იქნება ეს ღმერთის მეტს კაცს არ ეცოდინება," კი არ სჯერათ.

სამწუხაროდ, თითო ოროლა მაგალითი, რომელიც ამ უკანასკნელ დროებში ხშირად ხდება ხოლმე ამ ჩვენს იმერეთში, არღვევს ხალხში იმ რწმენას, რომ ურიებიც ჩვენი ძმები არიან და ისეთივე კაცები, როგორც ჩვენ, მხოლოდ სხვა სარწმუნოებისა. აი მაგალითად რა სამწუხარო ამბავი მოხდა სოფ. კულაშში 22-ს სექტემბერს:

ერთი ჩვიდმეტის თუ თვრამეტის წლის ბიჭი, გვარად ბალანჩივაძე დადიოდა ამ საღამოს ურიებში და დაჰქონდა გასასყიდლათ ერთი კალათი ბადრიჯანი.—მახლობლად ჯვარცმის ეკკლესიისა სახლობს ერთი ხახამი ურია და იქვე ცოტა მოშორებით არის დუქანი, სადაც მედუქნეს და ერთს გლეხს ახაბაძეს კიდევ არ სძინებიათ (იქნებოდა ღამის თორმეტი ან პირველი საათი). აი ამათ გაეგონათ პირველად რაღაც ყვირილი და როდესაც ყური დაეგდოთ, შეწუხებულის კაცის კვნესა შემოესმნოდათ და ამიტომ მიშურებოდნენ იქით საიდგანაც ხმა მოდიოდა. მისულიყვნენ იმ ხახამი ურიის სახლის უკან და იქვე ეზოში ენახათ მაგრად შეკრული თოკით ის ბიჭი, რომელზედაც ზევით ვსთქვი, ბადრიჯანი დაქონდა იმ საღამოს გასასყიდათ-მეთქი.

ბიჭი თითქო უგრძნობელათ ეგდო და არც ერთ კითხვაზედ პასუხს არ

---

## «დროების» ფელეტონი, 26 სექტემბ.

### თეატრის შესახებ.

(პასუხი ა. მოჩხუბარიძეს)

მკითხველს ამ პასუხით თავს არ შევაწყენ არც სივრცით და არც მაგარი სიტყვებით; ა. მოჩხუბარიძისაგან ხმარებულ სიტყვებს, როგორც: „ენა-წაიგრძელეს," „ტიტინი," „ხტუნაობა," „როშვა"—ყურადღებას არ მივაქცევ; მხოლოდ მოკლედ უპასუხებ იმ საბუთებზე, რომლებიც ბ. მოჩხუბარიძეს მოსჩვენებია ჩემი სტატიის სიმართლის დასარღვევათ.

1) ...„თუ იმისთანა გამოჩენილს აქტრისას, როგორიც სარა ბერნარია, არ ჰყოფნის პიესის მოსამზადებლათ 16 რეპეტიცია, მაშინ რათ უკვირსთ, როდესაც ჩვენი აქტიორები ბევრჯელ თითო რეპეტიციის შემდეგ გამოდიან და როლები კარგათ არ იციან?"

ძალიან მიკვირს, მაგრამ ის კი არა, რომ ჩვენი არტისტები ისრე ვერ განვითარებულან, რომ პატარათ მაინც დაემსგავსონ საფრანგეთის არტისტებს, არამედ ისა, რომ ბატ. მოჩხუბარიძეს უბრალო სცენიურ კანონში ინჩიც არ სმენია, ე. ი. როლების ცოდნა რეპეტიციებზე რომ არ არის დამოკიდებული, და თეატრის შესახებ კი ნებულობს მთელი ფელეტონების გაჭრელებას. ბატ. მოჩხუბარიძე, თუ სარა ბერნარის შესახებ გიმენიათ რამ, ისიც უნდა იცოდეთ, რომ, სადაც თეატრი კარგათ არის დადგენილი, იქ პირველ რეპეტიციაზე ყველა არტისტებს თავიანთი როლები გაზეპირებული აქვსთ; ამას გარდა ჩვენს არტისტებს კვირაში ერთი წარმოდგენა აქვსთ და თითო რეპეტიციის შემდეგ თამაშობენო; რატომ და რისთვის ხუთჯერ და შვიდჯერ ვერ გააკეთებენ რეპეტიციას? მაგრამ კიდევ ვიმეორებ, რომ რეპეტიცია სულ სხვა არი და როლების ცოდნა სულ სხვა; თუ ურეპეტიციოთ გამოხვალთ სცენაზე, მაშინ შეუძლიანთ სთქვან, რომ თქვენ ცუდათ ითამაშეთ, მიხვრა-მოხვრა არ ჰქონდათ, ხმა ვერ მოაწყვეთ, ერთის სიტყვით, უხეიროთ და ულაზათოდ გაატარა თავისი როლიო და თუ როლი არ იცით, მაშინ კი თქვენ არაფერი აღარ ხართ, ე. ი. ნოლი სცენაზედ; უმჯობესი იქნება სუფლიორმა თავი ამოჰყოს თავის ბუდიდამ და თქვენ მაგიერ წიგნში ამოიკითხოს, თქვენი სათქმელი.

ვსწუხვარ, რომ ესეთი უბრალო რამეების ახსნა თქვენთვის საჭიროთ დაგინახეთ, ბატ. მოჩხუბარიძევ!

2) ...„რასაკვირველია, შეუძლიანთ გვითხრან, რომ მოუმზადებელი რათ გამოდიანო."

თუ თქვენ ამაზედ თანახმა ხართ და აღიარებთ, რომ მოუმზადებელი და როლების უცოდინარი გამოდიან ჩვენი არტისტები სცენაზე, ქე რაღაზედ გაგიჭრელებიათ მაგოდენა ფელეტონი? სასაცილოა, ჩემს წინააღმდეგ სწერთ და იმასვე ამბობთ რასაც მე ჩემს სტატიაში მე ვამბობდი, რომ არტისტები თავის მოვალეობას არ ასრულებენ, როლებს არ სწავლობენ და მოუმზადებელი გამოდიან სცენაზე; ბატ. მოჩხუბარიძეც ამას ამბობს და თანაც ცდილობს კიდევ გაამართლოს ჩვენი არტისტების მოქმედება. იმის გამართლება შეიცავს მხოლოდ ერ-

იძლეოდა. მაშინვე თოკი შეეჭრათ და განეთავისუფლებინათ. მინამ ადგილობრივი პრისტავი მოვიდოდა, ბიჭიც ცოტათი გონზედ მოსულა და ენაც ამოუდგამს.

მეორე დღეს მე თვითონ ვნახე ის ბალანჩივაძე დაწოლილი იმავე ადგილზედ, სადაც თოკი შეეჭრათ მისთვის და როდესაც გამოვკითხე, თუ როგორ მოუვიდა ეს საქმე, ან თოკით ვინ შეჰკრა, აი რა მიპასუხა:

— საღამოს კალათით ბადრიჯანი დამქონდა გასასყიდათ, ვიარე ვერსად გავყიდე და ბოლოს შემხვდა ეს ურია და მითხრა: მე ვიყიდიო. შევედი მის სახლში, კალათი გამიცალა და მერმე ლაპარაკით შემიყოლია ერთ ხანსო და ფულიც არ ჰქონდა ჯერ მოცემულიო. ზაიარა რამოდენიმე ხანმა და სამი ურია შემოვიდა, რომელთაც ვიცნობ, თუ მაჩვენებენო; მათთან ვგონებ, სხვებიც ბევრი იყვნენო. ზაჩერებული ვიყავი და უცებ ერთი რაღაც თვალებზე ჩამომაფარეს და მერმე რა ვქენი, ან რა მიქნეს აღარ მახსოვს არასფერიო. ან ვინ შემკრა, ან გარეთ ვინ გამომიტანა არასფერი ვიციო".

რამდენად მართალია ეს ამ ბიჭის ნაამბობი—რა მოგახსენოთ.

პრისტავმა ბატ. ძღენტმა მაშინვე შეატყობინა ეს ამბავი გამომძიებელს ბატ. ერისთავს, რომელიც დაუყოვნებლივ მოვიდა და მაშინვე შეუდგა თვისის მოვალეობის აღსრულებას.

ბიჭს არ ეტყობოდა პირზედ არასფერი ნატკენი, მხოლოდ სუსტად იყო და ლაპარაკი ეზარებოდა.

იმედია, მართლ-მსაჯულება მიაქცევს ამ საქმეს ჯეროვან ყურადღებას.

ა. ნ.

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! თქვენის პატივცემულის გაზეთის „დროების" 181 ნომერში, სხვათა შორის, არის მოთავსებული ერთი უსახელო სტატია შესახებ ჯვარის-წერისა, შესრულების ჩემ მიერ 30 ივლისს ამა წლისა.

ეს კორრესპონდენცია ცხადი ცილის-წამებაა; ის აღწერილობა რომ მართალი ყოფილიყო, არა თუ უსახელო კორრესპონდენცია, არამედ სახელოვანი საჩივარიც დაიწყებოდა მთავრობაში, რადგან მსგავს საქმეში ახლა აქეთ გაწაფვა საჭირო აღარ არი: ამის გამო ვსთვლი საჭიროდ გაუწყოთ თქვენ, და, თქვენის საშუალობით, მკითხველთ ნამდვილი გარემოება...

30 ივლისს დილისთვის მთხოვეს დაწერა ჯვარისა აზნაურის იმედიშვილის ქალის მარიამისა სასიძოს სამტრედიის ვაჭრის ქრავეიშვილზედ. მივედი დანიშნულ დროს ჩემის თანაშემწეობით დილას, დაველოდე ნაშუადღევის სამ საათამდე; მეორე კიდევ მიმიყვანეს და მაცდევინეს დიდხანს ეკკლესიაზედ; ამ დროს თურმე საქორწინე და მაყრები ვაჭრობდენ მზითევზედ და მხიარულებდენ: ხოლო ჩემს სიცხეში მშიერად ყოფნას კი არაფრად აგდებდნენ და არც შემატყობინეს ნამდვილი ამბავი. ბოლოს კიდევ მიმიყვანეს და დიდხანს მაცდევინეს. როგორც იქნა მოვიდნენ, მივიღე მათგან მოწმობა და შევადგინე ობისკი. ამ დროს, რადგან სხვაფრივ ვატყობდი, მოვთხოვე ამათ, გარეშე ეკკლესიისა, სავირგვინო და მომცეს მთელის კრებულის და ეკკლესიის განათლებისათვის თუთხმეტი მანეთი და არა 25 გინა 50 მანეთი იქონიეთ. სახეში, რომ ორის წლის განმავლობაში მე არ მიმიღია მისის ოჯახიდან არცა ერთი კაპეიკი, როდესაც მე მას ვემსახურებოდი და მასთანავე ვიხდიდი ამ ოჯახის მყოფისთვის ჩემს მრევლში დაწესებულს გარდასახადს სასარგებლოდ: სასწავლებელის, სემენარიის და პენსიონებისა,

ამის შემდგომ არ შემხვთებოდა იმ ოჯახიდან არაფერი ათის წლის განმავლობაში? ხოლო მე ჩემი სამსახური და გარდასახადები კი არ მომცილდებიან და ანუ იტყვის ვინმე რისთვის სთხოვე საშრომელიო? აბა რა ქმნას საწყალმა მღვდელმა? იგი უნდა დარჩე ამ გვარის საშვალებით, და ხომ შიმშილი მოკლავს მას და ოჯახეულობას. მე მაქვს ჩემის მრევლიდამ წელიწადში შემოსავალი არა უმეტეს 100 მანეთისა ყოველითურთ და მყავს ოჯახში შვიდი სული. ვერ მიცლი სამუშევრად ყანისა, სამსახურისა გამო; ვიხდი გარდასახადებს წელიწადში სასწავლებელის და სემინარიისთვის ოც-და-ცხრა მანეთს, ბლანკებისთვის ორ მანეთს, მოჯამაგირეს 50 მანეთს და ვზრდი შვილებს.

თუ ეს შემოსავალიც საძრახასი არის და უწესო, მაშ რით ვირჩინო თავი? ნუთუ არის სადმე ის კანონი, რომ შრომა უსასყიდლოთ იქმნეს. მსეც იქონიეთ სახეში, რომ მე არ მაქვს ჯამაგირი ისე, როგორც არის განათლებულ ქვეყნებში და მაშ რამ მარჩინოს, ხომ ზეციდამ არ სცვივა ჩემთვის საჭმელი. ჩემი საზრდო არის მსგავსი საქმე...

ჯიხაიშის მღვდელი ა. ნემსაძე.

22 სექტემბერს.

# რუსეთი

ძარვი ხანია, რაც რუსეთში მოლაპარაკება აქვთ მაგარი სასმელების გასყიდვის წესების შეცვლაზედ, რომ ერთობ გავრცელებული ლოთობა შემცირდეს. აი ამ საგნის შესახებ არიან პეტერბურღში შეყრილნი რამდენიმე განვითარებულნი პირნი, რომელთაც ახლად, კერძოდ ამ საქმისათვის დანიშნულმა კამისიამ უნდა გადასცეს თავის აზრი. როგორც გაზეთებში იწერებიან, სამ კვირაში სულ მორჩებიან ამ საქმეზედ მოლაპარაკებას.

— „ებრაელების მსოფლიო ძავშირმა" გაუგზავნა ებრაელთა საზოგადოებას რუსეთში, რომელთაც ამ უკანასკნელ ხანში ბევრი უბედურება გამოიარეს მათზედ აჯანყებულ რუსეთის დაბალ ხალხისაგან, ცირკულიარი, რომელშიაც ეს „ძავშირი" ჰპირდება მათ ხელის-მოწყობას ამერიკაში გადასახლებაზედ. გზის ფული „ძავშირისაგან" ეძლევა თითო პირს, წამსვლელს, რომელიც უნდა იყოს არ უმცირეს 18 წლისა და—უმეტეს 38 წლისა, 250 ფრანკი. მგზავრი უნდა იყოს მაგარი აგებულობისა და რაიმე ხელობის მცოდნე. „ძავშირი" ჰპირდება, რომ ამერიკაში [illegible] ხელს მოუმართავს გარდასახლებულთ.

— პეტერბურღში უმაღლეს არისტოკრატებისაგან შემდგარა დიდი წრე, რომელსაც აქვს მიზნათ თავის ხარჯით დაიაროს ყველა წმინდა ალაგები და მონასტრები რუსეთისა. წრე იწვევს გარეშე პირთაც, რომელნიც განაცხადებენ სურვილს ამათთან მოგზაურობისა. ამას გარდა ამათ აქვთ განზრახვა დაიქირაონ რამოდენიმე მხატვარი და მწერლები, რომ მომავალში თვითონ ამ წრემ გამოსცეს საქვეყნოდ მხატვრული აღწერილობა თავი მოგზაურობისა. ამ წრის მოთავეა ერთი ცნობილი ნასწავლი; ამას კიდეც შეუდგენია პლანი მოგზაურობისა, რომელიც 5-6 თვეს გაგრძელდება.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** თელი პარიჟი დიდს უკმაყოფილებას აცხადებს, რომ აქამდის თუნისიდამ არავითარი ცნობები არ არის. ეჭვში არიან, ტელეგრაფი არ მუშაობს, თუ თვით მმართებლობა ფარავს იქნება ცუდ ცნობებსაო. 350 ჟანდარმი გაუგზავნიათ თუნისში.

როგორც გამბეტას მეგობრები იძახიან ის არ იყრის კენჭს პალატის პრეზიდენტობაზედაო და დარჩება უბრალო დეპუტატათ; უმრავლესობის მოთავეთ, რომ გარდაწყვეტილი გავლენა იქონიოს ახალ კაბინეტზედ. ჰფიქრობენ, რომ მარტო ესეც არ იყო მიზეზი მისგან კენჭის ყრაზე უარის თქმისა. ბელვილის მაზრაში გამბეტას დეპუტატათ ამორჩევის დროს ამის წინააღმდეგ ბევრმა შეიტანა აზრი და ეხლა რომ პრეზიდენტობაზედ იყაროს კენჭი ეს ბევრ აყალ-მაყალს და ბაასსააყენებს.

დარწმუნებით ამბობენ, რომ პარიჟში ბევრი პირები დაუტუსაღებიათ ამ ქამათ და ვითომ საფრანგეთის მმართებლობას გამოეცეს ბრძანება,—განდევნონ ყველა რევოლიუციონერები,

თათ-ერთ საბუთს, რომ „ძალიან ცოტა დრო გვაქვს მოსამზადებელიო"; მაგრამ მე კიდევ ის ვერ გამიგია—რითია დამნაშავე ქართული თეატრი, ქართველი საზოგადოება, რომ ჩვენი არტისტები შვიდი დღის მაგიერ ერთს დღეს ხმარობენ მოსამზადებლათ და მოუმზადებელნი თამაშობენ? იქნება ბატ. მოჩხუბარიძე ამ გვარ მოქმედებას სვინიდისიერათ თავის მოვალეობის აღსრულების სახელს დაარქმევს?

3) (რომ ჩვენი საზოგადოება გულგრილათ არ ეკიდება თეატრს და იმით აღტაცებულიაო, ამის საბუთათ მოჰყავს შემდეგი): „სამი თვის განმავლობაში 7,025 მანეთი შემოსავალი იყო; ამ სამი თვის განმავლობაში ოთხი ბენეფისი იყო: გაბუნიასი, ყიფიანის, მესხევსი და ხეიძისა, 14 წარმოდგენაც ქუთაისში გავმართეთო.

ბატ. მოჩხუბარიძის გარდა, ყველამ კარგათ იცის, რომ ბენეფისები ანგარიშში ჩასაგდები არ არის, როდესაც საზოგადოების თანაგრძნობა ჩვენი თეატრისადმი გინდათ დაამტკიცოთ, რადგან ბენეფისებზე ბილეთები სახლში ევზავნებათ და საზოგადოება თითქმის ძალა-უნებურათ თეატრის ზალას ავსებს. მაშასადამე ამ ოთხი ბენეფისების 2,000 მანეთი მაინც უნდა ვიანგარიშოთ, რომელიც იმ 7,025 მანეთში არ შედის.

ქუთაისში გამართული წარმოდგენებიც, რასაკვირველია, ვერ დაგვიმტკიცებენ ჩვენი თბილისელი საზოგადოების ჩვენის თეატრისადმი თანაგრძნობას — ამ წარმოდგენებიდამ რომ ვიანგარიშოთ, თითოსაგან, 100 მანეთი მაინც, შეადგენს 1,400 მანეთს. ახლა ეს ფულები ყველა რომ გამოვაკლოთ, ბ. მოჩხუბარიძეს დარჩება სამი თვის შემოსავალი 3,625 მანეთი და ეს ფულები მოჰყავს ხალხის თანაგრძნობის ნიმუშად! აქ მარტო გაღიმება გვმართებს.

4) „ვერ გაუგიათ, რომ ჩვენს აქტიორებს, სასყიდლისათვის-კი არ მიუღიათ თავიანთ თავზედ თეატრის საქმე, არამედ ემსახურებიან იმას იმიტომ, რომ მართლა უყვართ თეატრი, იმიტომ რომ თეატრზედ აქვსთ იმედი, რომელიც ყველაზედ უკეთ თანაშემწეობს დედა-ენის აღდგენას"...

ნამდვილად ამის დამტკიცება არ შეუძლიან ბატ. მოჩხუბარიძეს და მასთან არც მე, რადგან ჩვენ არც ერთი არ ჩავმჯდარვართ ჩვენი არტისტების გულში და იმათი გულის-პასუხი არ ვიცით;—მე ჩემის მხრით ეს შემიძლიან ვთქვა, რომ ეს უსასყიდლო სიყვარული უნდა დავინახოთ იმათი საქმის წაყვანით და რადგან მეც და ბატ. მოჩხუბარიძეც იმას ვამბობთ, რომ ჩვენი თეატრი ცუდათ მიდის, ამ სიყვარულზე ლაპარაკი ცუდათ შრომა იქნება. მაინც-და-მაინც მივანდოთ ჩვენს საზოგადოებას, ჩვენს პრესსას იმის გარკვევა, თუ ჩვენი არტისტები რამდენათ კეთილად ემსახურებიან იმისთანა ღვთიურ საქმეს, როგორც დედა-ენაა და იმისთანა წმინდა კაცის განმაკეთილშობილებელ საქმეს, როგორც ჩვენთვის ჩვენი ქართული თეატრია.

ქართული სცენის მოყვარე.

თბილისი,

24 სექტემბერს.

რომელნიც უცხო ქვეყნებიდამ შესულან საფრანგეთში.

—

**ITALIA.** კარდინალთა რჩევაში იხილება ამ ჟამად შემდეგი კითხვა: საჭიროა რომ პაპმა მიატოვოს რომი ეხლავე, თუ უცადოს კიდევ ახალ-ძალდატანებას, რომელიც იძულებული შეჰქნის მას მიატოვოს Iტალია. ევროპის სახელმწიფოებმა ჯერ კიდევ არ გარდაუწყვეტიათ პაპის მომავალი მდგომარეობა. კუნძულ მალტაზედ გარდასახლების აზრი აღარ აქვს პაპს მხედველობაში. ეშინიანთ, რომ ზღვაზედ მოგზაურობა ერთობ შეამცირებს გამოულეველ პაპის თაყვანის მცემლებთ და ესეც არის, რომ კუნძული მალტა პროტესტანტების საკუთრებას შეადგენს. ამბობენ პაპის ყურადღება ამ ჟამად ვენაზედ არის მიქცეულიო; მაგრამ ჯერ ყველაფერი თავის განზრახვა საიდუმლოთ აქვს პაპს.

—

**ბოსნია და ჰერცოგოვინა.** ფრანცუზულ გაზეთ „*Justice*“-ში, მოყვანილია ბოსნიისა და ჰერცოგოვინის რამოდენიმე წარმომადგენელთაგან მიმართვა რუსეთის მმართებლობისადმი. ამ საბუთში აღწერილია ჩივილი და უკმაყოფილება მცხოვრებთა ავსტრიის ჩინოვნიკებზედ, რომლებიც ყველგან ნემეცურ ენას სჩრიან და ადგილობრივ ჩვეულებებს და უფლებებს დევნიან. ბოსნიელების და ჰერცოგოვინელების მდგომარეობა ეხლა თითქო უარეს ნიადაგზედ იყვეს, ვინემ Oსმალეთის ხელში იყო. კათოლიკეთა სასულიერო წოდება ძალდატანებით იძულებულ ჰყოფენ მცხოვრებთ, რომელთ შორის უმეტესი ნაწილი მმართლ-მადიდებელნი არიან, რომ ხელი მოუმართონ და აგონ კიდეც უცხო სჯულის ეკკლესიები. მმართებლობის განკარგულება გამოდის ნემეცურ და ვენგრიულ ენებზედ და მცხოვრებთ არა აქვთ შეძლება, რომ დაიცონ თავიანთი ინტერესები სამოსამართლო და სხვა უწყებების წინაშე. ვენამდის ერთი თხოვნაც ვერ აწევს; ამის გამო ბოსნიისა და ჰერცოგოვინას მცხოვრებნი ჰმართავენ რუსების მმართებლობას და სთხოვენ დაიხსნას ისინი ავსტრიის მტარვალობისაგან, მშვიდობიანის დიპლომატიურის ზომებით. ეს მიმართვა ხელ-მოწერილია 25 პირისაგან.

# განცხადებანი

კავკასიის პრიკაზი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ სექტემბრის **22**-ს პრიკაზის კასსიდამ შეცდომით მიეცა ვიღაცას, **200** მანეთის ბილეთის ძაგიერად, რომელიც ამ დღეს შემოიტანა უცნობმა პირმა, ბილეთი, **№ 524, 19** მარტის **1881** წლისა, **2,000** მანეთის ღირსებისა ამ ბილეთზე აწერია სახელი ანასტასია ჯინჭარაძისა ბლანკის წარწერით. ამ ბილეთით ჯინჭარაძისამ იმავ დღეს მიიღო ნახევარ წლის სარგებელი იმ განზრახვით, რომ ხსენებული ბილითი არავინ მიიღოს ბეით, ან არვინ იყიდოს, და, თუ ვისმე ჩაუარდა ხელში, ვალდებულია პრიკაზში წარმოადგინოს. (3—3)

---

**შეშა** ისყიდება იაფათ, კუკიის ხიდის ყურზედ, ნაბერეჟნის ქუჩაში. აბრამ. (5—3)

---

Iმ მოწაფეთა შორის, რომელნიც იყვნენ Tპილისის გიმნაზიაში, ამ ჟამად, გიმნაზიის 50 წლის იუბილეის დღესასწაულობის გამო, აღიძრა აზრი მიეგებნენ ამ დღესასწაულს საამხანაგო სადილით, რომელიც დანიშნულია 29 ენკენისთვისათვის შუა დღის სამ საათზედ. სადილი (ქართულ საჭმლებისაგან შემდგარი) მუსიკით ეღირება ხუთი მან. Tუ სად გაიმართება სადილი, ამაზედ ცალკე იქნება გამოცხადებული.

ბილეთი ამ სადილისა (5 მან. გადახდით) მიიღება მუდამ დღე გიმნაზიის შვეიცართან 9 საათიდამ დილისა 1 საათამდე. 27 ენკენისთვიდამ ბილეთები აღარ გაიცემა.

თ. Dიმიტრი Dავითის-ძე Jორჯაძე,
ვასილ Bრიგორის-ძე სარაჯიშვილი,
Iვანე Iაგორის-ძე ამირაგოვი,
ლევ ლევის-ძე მარკოვი,
თ. ეგნატე Bიორგის-ძე Tუმანიშვილი,
თ. Iლია Bრიგორის-ძე ჭავჭავაძე,
Bრიგ. ნიკოლოზის-ძე ბექხანოვი,
მიხეილ Pეტრეს-ძე Iსარლოვი,
კოსტანტ. მიხეილ.-ძე კოლუბანსკი.
(3—3)

---

# ისყიდება

ბექანთუბანში კარგი რცხილისა და წიფლის შეშა ნავით ჩამოტანით.

მიმართეთ ნ. ჩხეიძეს. (10—5)

---

**დოქტორი ბახუტოვი**

გადავიდა სალოვის (ბალის) ქუჩაზე, სოლოლაკზე, აფენდიევის სახლებში, № 56.

ავათმყოფებს—ქალებსა და ყმაწვილებს—მიიღებს იმავე წესით, როგორც ადრე იღებდა ხოლმე.

(5—5)

---

# ვექილი ლებედინსკი

გარდავიდა საპიორის ქუჩაზედ ბაბანაძოვის სახ. სამხედრო გიმნაზიის პირდაპირ. Iღებს სასამართლო საქმეებს. (3—3)

---

**ინგლისის მაღაზიაში**

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | ჩაის ყველგან |
|---|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — | 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — | 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — | 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — | 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — | 2 „ 50 კაპ. |
| ხაუკეთესო 2 მანეთ. | — | 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—43)

---

**ინგლისის მაღაზიაში**

თმის აღ-მყვანი



მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ

(100—53)

---

# ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ადაგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურკელი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისსოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—ინგლისის მაღაზიაში. იქვე ჩაი [illegible] ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან, ჩოკ-ბორ (*choke bore*) *George Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში.

(100—14)

---

თფილისის სავაჟო I გიმნაზიის პედაგოგიური რჩევა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ ენკენისთვის 27-ს იქნება ამ გიმნაზიის 50 წლის არსებობის დღესასწაული (იუბილეი) და ამის გამო სთხოვს ყველა ამ გიმნაზიის ადრინდელ შაგირდებსა და აგრეთვე ყველას, ვინც განათლების საქმეს თანაუგრძნობს, მობრძანდეს დღესასწაულზე.

იმავე დღეს გიმნაზიის სააქტო ზალაში გამართული იქნება ასი კაცისათვის სადილი ცალკე დაპატიჟებით.

28 ენკენისთვეს, საღამოს 8 საათზე, გიმნაზიაში გამართული იქნება საყმაწვილო საღამო, რომელზედაც შაგირდების მშობლები და ნათესავები იქნებიან დაპატიჟებულნი.

(5—5)

---

**ამერიკელი კბილის ექიმი დოქტორი ი ა. ვალტერი**

რომელიც დიდის მთავრის დუნაიის—იქით არმიის მთავრისა განკარგულებით დანიშნული ვიყავი კბილის ავათმყოფობის კონსულტანტთა და მივიღე ორი წარჩინებული დიპლომი, მოვსულვარ თბილისში და ვიღებ კბილით ავათმყოფებს კბილების ჩასასმელად რბილ საგებზე უპრუჟინოთ. რომელსაც არა ვრაცხ გამოსადეგრათ ვინაიდგან პრუჟინა უშლის რიგიანათ საჭმლის დაღეჭვას.

ჩემი ექიმობის მეტოდას ხმარობენ კბილის ექიმები მთელ რუსეთში მარტო პეტერბურღში; და მოსკოვში და არა სადმე პროვინციაში არავის ვურჩევ იხმარონ ჩანგლებიანი კბილები, მისთვის რომ ჩანგლები და კავშირები სცვეთავენ კბილებს, რაიცა უეჭველია, შენიშნული ექნებათ იმათ, ვისაც ისინი უხმარია.

კბილების მოგლეჯას არ ურჩევ. ამისთვის რომ კბილების მოგლეჯა თუ გინდ ერთისაც ცუდათ მოქმედობს სხვა კბილებზე. ამისთვის სჯობს კბილის ოქროსი, პლატინასი ანუ მილანქრის პლომბით გაკეთება მაქვს ახალი ჩემგან მოგონილი საშუალება რომელითაც შეიძლება დაიცვას კბილები წახდენისაგან და ტკივილისაგანაც. ეს საშვალება არის დამტკიცებული მედიცინის დეპარტამენტისაგან.

ნიმუშები: ახლად აღმოჩენილი შეზავებულ კბილებისა და პლომბიროვკები შეუძლიანთ ნახონ ჩემს კაბინეტში. ყოველს საქმეს შესახებ კბილების ავათმყოფობისა ვასრულებ 24 საათში:

ვიღებ ავათმყოფებს დილის ათი საათიდგან საღამოს ექვს საათამდინ. ვცხოვრებ გალავინსკის პროსპექტზედ მიოევის სახლებში სადაც იმყოფება ვესტლის ფოტოგრაფია ბ მირზოევის სახლში სადაც იყო კარტინის ვისტავკა შესავალი გალავანსკის პროსპექტიდამ. (5—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Сентября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი